2013 წ. 1 ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული პჯდ სერვისების ჩამონათვალი

ქვემოთ მოყვანილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სერვისების ჩამონათვალი. მომსახურების დაფინანსების პრიორიტეტულობის განსაზღვრის მიზნით გამოყენებულია შემდეგი კატეგორიზაცია:

„აუცილებელი“ მომსახურების დაფინანსება აუცილებელია ყველაზე ბაზისური სამედიცინო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ მომსახურების ეფექტიანობა და ეფექტურობა დადასტურებულია საერთაშორისო გამოცდილებით;

„რეკომენდებული“ მომსახურების დაფინანსება ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და კარგი კლინიკური გამოსავლების მიღწევას;

„**სასურველი**“ მომსახურების დაფინანსება, შესაფერის შემთხვევებში, ხელს შეუწყობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, სერვისზე მოთხოვნა ზოგადად მაღალია და პროგრამის ფარგლებში მისი სრული ან ნაწილობრივი დაფარვის პირობებში მოსალოდნელია პაციენტის კმაყოფილების გაზრდა.

„**არააუცილებელი**“-მომსახურება სცილდება პირველადი ჯანდაცვის მომსახურების ფარგლებს, მისი ეფექტიანობა ძვირადღირებული, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების გარეშე დაბალია, მაგ. მხოლოდ სპეციალისტის კონსულტაციის საფუძველზე, შემდგომი გამოკვლევების ჩატარების გარეშე, დიაგნოზის დადასტურება იშვიათადაა შესაძლებელი.

	მომსახურების სახე	**დასაბუთება**
აუცილებელი	ოჯახის/უბნის ექიმის მომსახურება (100%)	უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის ბაზისურისერვისების მიწოდება
აუცილებელი	ზოგადი პრაქტიკის ექთნის მომსახურება (100%)	უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის ბაზისურისერვისების მიწოდებას
აუცილებელი	გლუკოზა პერიფერიულ სისხლში (100%)	შაქრიანი დიაბეტი
აუცილებელი	შარდის ანალიზი ლაბორატორიულად ან უროტესტით (100%)	ქრონიკული და მწვავე პრობლემების დიაგნოსტიკა და მონიტორინგი
აუცილებელი	ქოლესტეროლი (100%)	გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია (პრევენცია და მართვა)
აუცილებელი	ოტოსკოპია, რინოსკოპია, ფარინგოსკოპი	
აუცილებელი	პიკფლოუმეტრია	
რეკომენდებული	ენდოკრინოლოგი	პჯდ დონეზე დიაბეტის ხარისხიანი მართვის უზრუნველყოფა
რეკომენდებული	ოფთალმოლოგი (ოფთალმოსკოპია გუგის გაგანიერების გარეშე)	დიაბეტური და ჰიპერტონული რეტინოპათიის დროული დიაგნოსტიკა (ქრონიკული დაავადებების მონიტორინგი)
რეკომენდებული	გინეკოლოგი	ოჯახის დაგეგმვა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები

რეკომენდებული	სისხლის საერთო ანალიზი (100%)	კლინიკური ჩვენების მიხედვით ზოგიერთი მწვავე და ქრონიკული დაავადების დიაგნოსტირება და მიმდინარეობაზე მონიტორინგი
რეკომენდებული	განავალი ფარულ სისხლდენაზე (70%)	კოლინჯის კიბოს პრევენცია
რეკომენდებული	ლიპიდური პროფილი (70%)	გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია (პრევენცია და მართვა)
რეკომენდებული	კრეატინინი (70%)	შესაფერისი მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტირება და მონიტორინგი
რეკომენდებული	INR (70%)	შესაფერისი მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტირება და მონიტორინგი
რეკომენდებული	ელექტროკარდიოგრაფია (100%)	
რეკომენდებული	გულმკერდის რენტგენოსკოპია/რენტგენოგრაფია (70%)	
სასურველი	ღვიძლის ფუნქციური სინჯები: ALT, AST, GGT (70%)	შესაფერისი მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტირება და მონიტორინგი
სასურველი	ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯები: TSH, FT3, FT4 (70%)	შესაფერისი მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტირება და მონიტორინგი
სასურველი	მუცლის ღრუს ექოსკოპია (70%)	
არააუცილებელი	სპირომეტრია	
არააუცილებელი	სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურება	
	▪ კარდიოლოგი ▪ ნევროლოგი ▪ ორთოპედ-ტრავმატოლოგი ▪ ოტორინოლარინგოლოგი ▪ ალერგოლოგი ▪ ონკოლოგი ▪ ქირურგი ▪ უროლოგი	